

ლავრენტი ჯანიაშვილი

შინამრეწველობის ზოგიერთი ასპექტი ლაფანყურში მცხოვრებ ფშაველებში (2022 წ. სავლეთ-ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

2022 წლის შემოდგომაზე მეცნიერთა ჯგუფი სავლეთ-ეთნოგრაფიულ კვლევას ეწეოდა თელავის მუნიციპალიტეტში, ლოპოტასა და სტორის ხეობის სოფლებში (ლაფანყური, ლალისყური). მკვლევართა მიზანს წარმოადგენდა ყოველდღიურ ყოფაში შემორჩენილი ტრადიციული კულტურის იმ ელემენტების დაფიქსირება, რომელთაც შეტანაც შეიძლება არამატერიული კულტურულ ძეგლების ნუსხაში. ხსენებული სოფლები გამორჩეულია იმით, რომ აქ მრავლად მკვიდრობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან ჩამოსახლებული (ფშაველები, თუშები) მაცხოვრებლები. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია სავლეთ მასალის ნაწილი რომელიც სოფ. ლაფანყურშია შეკრებილი.

სოფ. ლაფანყური თელავის მუნიციპალიტეტში მდინარე ლოპოტას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. იგი თელავიდან 36 კილომეტრითაა დაშორებული.. ლოპოტას ხეობა სამი მხრიდან გარშემორტყმულია კახეთის კავკასიონის (დიდი მუხაცხე, პატარა მუხაცხე, სასანთლე, ნაყოროდალი, დიდი და პატარა ანდარაზანი და ა.შ.) მთებით. ხეობის სიმაღლე მერყეობს ზ.დ. 500 – 3000 მ-ის ფარგლებში. მოსახლეობა სოფლის დასახელებას ლაფნის სახელთან აკავშირებს. ეს იშვიათი მცენარე მრავლად გვხვდება ლაფანყურის სანახებში. სოფელში დაახლოებით 400-450 კომლი ცხოვრობს, ძირითადად ივრისა და არაგვის ფშაველები, რომელთა წინაპრებიც აქ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩამოსახლებულან.

ლაფანყურს ფშაველები გადმოსახლებამდეც კარგად იცნობდნენ ლოპოტას ხეობას, რადგან აქ საქონელს აზამთრებდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ხვთისო ჩაქიაშვილს და ლეგა ნარუსლიშვილს ამ ადგილზე მუდმივი ცხოვრება და მისი ყიდვა გადაუწყვეტიათ. ეს საკმაო თანხას მოითხოვდა, რომლის გადახდაც ორ ოჯახს მეტად გამწვავებია. ამიტომ 10 – 12 კომლი შეამხანაგებულა და 40 ჰექტარი მიწა უყიდია. მიწის ყიდვა-გაყიდვის საბუთები

1906-1907 წელს გაფორმდა და ფშაველთა პირველი ოჯახები უკვე 1908 წელს ჩამოსახლდნენ ის მიწა, სადაც მოახალშენებმა საკარმიდამოები მოაწყვეს, სახნავ - სათესად გამოუსადეგარი იყო. მხოლოდ მესაქონლეობით თავის გატანა კი ახალმოსახლეებს საკმაოდ უჭირდათ. აუცილებელი გახდა ადგილის მოცვლა, რათა ფშაველებს მიწათმოქმედების ხვედრითი წილის გაზრდის საშუალება მისცემოდათ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსახლეობამ თანდათანობით დასავლეთისაკენ ჩამოინაცვლა თავდაპირველ ადგილს დაახლოებით 5 კმ-ით დაშორდა¹ და დღევანდელი საცხოვრებელი არეალი აითვისა.

მთიელთა ტრადიციულ ყოფაში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა წვრილხელოსნობას და შინამრეწველობას, რადგან ფშაველები არსებობისათვის საჭირო ნივთებს და საკვებს ძირითადად საოჯახო პირობებში ამზადებდნენ. ამგვარი ვითარება მეტნაკლებად ბოლო ხანებამდე შეინარჩუნეს, თუმცა თანამედროვე მსოფლიოსა და, შესაბამისად, საქართველოში განვითარებული პროცესები ცხოვრების ამ სფეროზეც აისახა. თვალსაჩინოა ძირეული ცვლილებები რომელიც საოჯახო საქმიანობაში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტექნოლოგიების მივიწყებასა და მეურნეობის ტრადიციული ფორმების დაკნინებაში აისახა. წინამდებარე სტატიაში განვიხილავ ყოფისათვის დამახასიათებელ კულტურის ორიოდე ელემენტს რომელთაც დიდი ადგილი ეჭირათ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ყოფაში.

პირველ რიგში მინდა შევეხო ერბოს, მთელ ად. საქართველოში გავრცელებულ კვების მაღალკალორიულ პროდუქტს. იგი გამოიყენება სხვადასხვა კერძის დასამზადებლად, მისთვის ცხიმიანობის მისაცემად. ამზადებენ წელიწადის ყველა დროს, მაგრამ ყველაზე ხარისხიანად ითვლება შემოდგომაზე დამზადებული ერბო. მას ძირითადად აკეთებენ ქალები. მთის სამოვრებზე ყოფნის დროს კი – მამაკაცებიც. დღეისათვის, უმთავრესად, ერბოს დამზადებით დაკავებული არიან შუა ხნის, ოჯახურ საქმეებში დახელოვნებული ქალები. მართალია ერბო მთელს საქართველოში პოპულარული პროდუქტია, მაგრამ ფშაველები მას ტრადიციული ტექნოლოგიით

¹ ლაფანყური.

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98>

ამზადებენ (ნაკლებად იყენებენ სეპარატორს). ფშაური ერბო მეტად გემრიელია, როგორც ხალხური გამოთქმა გვამცნობს „პური ქართლისა. ღვინო კახისა, ყველი თუშისა, ერბო ფშავისა.“ მაღალკალორიულობისა და ხანგრძლივად შენახვის შესაძლებლობის გამო, ფშავლების კვებით კულტურაში ერბოს დიდი ადგილ ეჭირა და სავარაუდოდ, მისი წარმოება მესაქონლეობის განვითარების ადრეულ ეტაპზევე უნდა დაწყებულიყო.

ლაფანყურელები რძეს ბარნელით ჩხუტში დღვებენ (ჩხუტი ხისგან დამზადებული მრგვალი, თავისკენ ოდნავ დავიწროვებული ცილინდრული ჭურჭელი რომელსაც, რკინის რამოდენიმე სალტე აქვს შემოჭერილი). ჩხუტი მზადდება ცაცხვის ან მუხის ფიცრებისგან. მუხის ფიცრისგან დამზადებული საუკეთესოდ ითვლება. ბარნელი, ხის მოგრძო ტარიანი ბოლოში ჯვარედინიდაბოლოებიანი ხელსაწყოა. ბარნელიც მაგარი, გამძლე ხის ჯიშისგან უნდა იყოს გაკეთებული. ერბოს დამზადების პროცესში აგრეთვე გამოიყენება სათლები, ქვაბები, ცხრილები და ა.შ. მართალია, ტექნოლოგიური პროცესის ძირითად პროდუქტად საკუთრივ ერბო ითვლება, რომელიც შეუცვლელია მთიელთა კვების რაციონში, მაგრამ ამ ციკლის ყველა ეტაპზე მიიღება სხვადასხვა პროდუქტი (კარაქი, დოვი, ხაჭო, დამბალ-ხაჭო), რომელსაც კვებითი დანიშნულება აქვს. კერძოდ: დოვი – შედღვებილი და კარაქმორთმეული მჟავე რძე, „ფშაველის ერთგული საჭმელია, ამოსახვრეტი, სიცხეში გრილი და საამური, მაგრამ უღონო და უყუათო“; ² ხაჭონი, რომელიც დოვის გათბობთ მიიღება. აჭრილ დოვს „სახაჭუე“ პარკში კარგად გამოწურავენ, გაზელენ, მარილს დააყრიან და კვერებად შეკრავენ (შაჰკვერავენ); ხაჭოსკვერას (ხაჭოს კვერებს) ძობანზე დაალაგებენ და შებოლავენ, შემდეგ ამ შებოლილი ხაჭოს გამოყენება შეიძლება დამბალხაჭოს მისაღებად; რძეხაჭონი (წამოდულებულ რძეში შერეული ხაჭო) და ა.შ.

ღებვა და დაშიბვა

ბუნებრივი საღებავების გამოყენება ადამიანებმა ისტორიის უძველეს ეტაპზე დაიწყეს. მას შემდეგ, რაც ქსოვილისაგან ტანსაცმლის შექმნას მიჰყვება ხელი, გაჩნდა მისი სხვადასხვა ფერის ორნამენტებით და ფიგურებით შემკობის მოთხოვნილებაც და შესაბამისად

² მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, თბ. 1986, ტ. 3, ნაწ. 2, გვ.107.

ბუნებრივი საღებავების გამოყენების პრაქტიკაც. ისტორიულ საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც მოსახლეობა საკუთარი სამოსის შექმნით თავად იყო დაკავებული, მე-19 საუკუნემდე ძირითადად ბუნებრივ (ორგანულ) საღებავებს გამოიყენებდნენ. მე-19-20 სს-ში მსუბუქი მრეწველობის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და არაორგანული საღებავების ფართოდ გავრცელების კვალობაზე, ბარის მოსახლეობაში თანდათან შემცირდა და ფაქტობრივად სრულიად მოისპო შანამრეწველობის ის დარგები, რომელიც ტანისამოსის წარმოებას და მის ღებვას უკაშირდებოდა. ძველად ხელსაქმის ცოდნა აუცილებელი იყო როგორც ახალგაზრდა, ისე მოხუცი ქალებისთვის და ეს ტრადიცია თაობიდან თაობაზე გადადიოდა.. უმეტესად შალის ძაფით ქსოვდნენ, რომელსაც. თვითონვე ამზადებდნენ და სასურველ ფერებში ღებავდნენ. წვრილი ხელოსნობის ეს დარგი ბოლო დრომდე შემონახული აღ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ფშავისა და ხევსურეთის მოსახლეობაში.

როგორც ს. მაკალათია წერდა ფშაველი დედაკაცები შალის ძაფით ქსოვდნენ, წინდებს ფარდაებს და ა.შ. რისთვისაც ისინი სხვადასხვა ფერად შეღებილ ძაფებს იყენებდნენ. საღებავს ადგილობრივადვე ამზადებდნენ სხვადასხვა ბალახისაგან, ბალახის ძირის, ერთგვარი მიწის ან მურყვნის ქერქისაგან. ამ საქმიანობს ფშაველები და თუშები დღემდე მისდევენ. სხვადასხვა ხელით ნაკეთები ქსოვილებისათვის ფართოდ გამოიყენება ბუნებრივი საღებავები და ბუნებრივი საშუალებებით ბევრ ფერისაც იღებენ. მაგალითად წენგო, ჯანგარო, ლაფანი და ა.შ. „ლაფანასგან მიიღება კაკაოსფერი. ეს ხეები ძირითადად ლოპოტის ჭალების გაყოლებაზე იზრდება ჭალის მცენარეა. იყენებენ მის ფოთოლს, ხარშავენ, შემდეგ ამ მასას, ამოიღებენ და ნახარშიში ჩადებენ შესაღებად გამზადებულ მატყლს. (მატყლი უნდა იყოს გარეცხილი, გამზადებული, არ არის აუცილებელი გაჩეჩვა.). ამრიგად ღებულობენ კაკაოს ფერს, თუ ძალიან ღია ფერის უნდათ შედარებით ცოტა ხანს ხარშავენ, თუ მუქი _ მაშინ უფრო დიდხანს და ლაფნის ფოთოლსაც უფრო მეტს ყრიან. ჯანგაროს ხავსით ღებვისას გარდამავალი ფერი მიიღება, არც ყვითელი და არც წითელი _ უფრო ჟანგისფერი. ამგვარად შეღებილ სამოსს ფერი აღარ გადადის, არ ხუნდება“. ჟანგარო მთიდან ჩამოჰქონდათ კაცებს მისი ხავსი ტყეში ხის ტოტებზე ეკიდება; ღია ყვითელი ფერის მისაღებად, მატყლს ღებდნენ თხილის ფოთლითაც. რომელსაც ხადახან ხახვის ფურცლებსაც უმატებდნენ. მოიხმარენ როგორც ხმელ ისე ნედლ თხილის ფოთოლს;.

შესაღებად იყენებდნენ დეკასაც, მისგან წითელი ფერი გამოდოდა. დეკასგან დაახლოებით ისეთივე ფერი მიიღებოდა, როგორც ენდროსგან; ყავისფერის მისაღებად აგროვდნენ ნიგეზის წენგოს, როცა კაკალი დაიბერტყებოდა. და კაკლის ქერქსაც. მათი განოყენებით შეიძლებოდა სიშავეში გარდამავალი ყავისფერის მიღება; შავი ფერის მისაღებად ჭვარტლსაც იყენებდნენ; ჟანგიანი რკინის მეშვეობით „გამოდის რაღაც უცნაური ფერი, აღარც ყვითელია, აღარც ჟანგისფერი, ბურნუთისფერი უფროა, თამბაქოსფერი; აღრე ნაცრითაც ღებავდნენ; იყენებდნენ ჩადუნას (მცენარეა) ძირსაც მისგან მწვანე ფერი მიიღება. ამჟამად ღებვისათვის იყენებენ საგანგებოდ გამოყოფილ ალუმინის ქვას, მისი სხვა დანიშნულებით გამოყენება აღარ შეიძლება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველგან ღებვის ერთნაირი წესი იყო მიღებული. ამ პროცესში ძირითადად ქალები მონაწილეობდნენ. შემოდგომაზე, როცა ცხვარი იპარსებოდა, მატყლს შეღებდნენ, ხოლო ზამთარში მეტ დროს სახლში ატარებდნენ და ძირითადად ქსოვდნენ. ცხვარი გაზაფხულზე იპარსება, მაგრამ მატყლის დამუშავებისათვის დრო ნაკლებადაა. მთიელის ოჯახში ყველა ქალი ქსოვდა. იცოდნენ „მუშანი – ქალები ერთად შეიყრებოდნენ, იწყებოდა დასთვა, დაჩეჩვა და გვიანობამდე. საქმობდნენ, რასაც მოჰყვებოდა ცეკვა, მხიარულება“.

როგორც მთხრობელი გვეუბნება „მატყლის გარეცხდნენ, შემდეგ დაწეწდნენ, დაჩეჩენ, დასთიდნენა და მერე გარეცხილი მატყლი იღებება. დასთვის შემდეგ უნდოდა ძაფის შეგრეხვა. ჯარა ჰქონდათ სპეციალურად, დამახვას ეძახდნენ, მაგაზე იყო დამოკიდებული რა სისქის ძაფი სჭირდებოდათ“.

ფშაველები დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ დაშიზვას – ნაქსოვში ორნამენტის ჩაქსოვას. „ძირითადად ფონი უნდა იყოს მუქი ფერის, შავი ან ყავისფერი. ორნამენტი უნდა გამოჩნდეს, იმის მიხედვით რა ფერს მოიხდენს ფონი. ყავისფერს ფერების უფრო შერჩევა უნდა ვიდრე შავს, უნდა ყვიროდეს ორნამენტი, მკაფიოდ უნდა ჩანდეს,“.

ფერების და ქსოველის შერჩევა დამშობავის გემოვნებაზეა დამოკიდებული, თუმცა გარკვეული ტრადიციაც არსებობს და იმეორებენ ფერეთა შეხამებას და ორნამენტებს, რომელთაც წინაპრები იყენებდნენ. ამასთან შემოდის ახალი ელემენტებიც. ფერი გამოსახულება და ზომები იცვლება მქსოველის გადაწყვეტილებით. ფშაველი ქალები

ძირითადად ყვავილებს (შიბავენ) აქსოვენ. უფრო ქსოვდნენ და შიბავდნენ, შიბით იქსოვებოდა მამაკაცის, ქალის და ბავშვის წინდები, ფაჩუჩები, გამაშები (პაჭიჭები), წვივსაცმელები, ხელთათმანები. იშიბებოდა ფარდაგებიც. ქსოვის დროსვე აყოლებენ ფერად ფიგურებს, ჩხირზე თვალს ზემოდან ახვევენ.

ლაფანყურელები ამბობენ, რომ ფშავლებს, ნაქსოვზე ძირითადად ყვავილები გამოჰყავდათ. გეომეტრიული ფიგურები კი უფრო ხევსურულია. წინდის ქსოვა იწყება თითებიდან. ქსოვის სეზონი უფრო ზამთარშია, ქალები ამ დროს ნაკლებად არიან დაკავებულნი და ქსოვენ. ფშავლების ტანსაცმელი ზოგადად თალხი ფერის, მოკრძალებული იყო, ამიტომ შიბს მის მოსართავად იყენებდნენ. იგი ზოგადად სამშვენისია, მდიდრებს მეტი ჰქონდათ, ღარიბებს ნაკლები. ჩაშიბვისას ფერადი ძაფი ჩაბნეული და ჩატანებული ისე, რომ წყობა არ ირღვევა, ისე მისდევს ერთმანეთს. ფშაველი მთხრობელებისს გადმოცემით დაშიბვის ტექნიკა ძირითადად ფშავლებშია შემორჩენილი, სხვები კი ქსოვილს ან ზემოდან აქარგავენ ან შიგნით ჩააქარგავენ. მაგ., თუშები შიგნით ჩააქარგვენ ხოლმე, ძაფი ქვევით უნდა ჩავიდეს. ხევსურები პირიქით, ამოკემსავენ. მათი ჯვრის ორნამენტები ქვემოდან არ ჩანს.

როგორც ითქვა, ხელსაქმის ცოდნა ქალისთვის აუცილებელი იყო, გოგონა რომ გათხოვდებოდა წინასწარ შეიტყობდა ვინ დახვდებოდა ახალ ოჯახში და ყველასთვის უნდა მიეტანა თავისი მოქსოვილი წინდა. პატარძლის მოქსოვილი ნივთები (მაგ. ფარდაგი) შედიოდა მზითევშიც. გოგონები დაშიბულ წინდებს წაწალისთვისაც ამზადებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ხელსაქმე ქართულ საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად ყოველთვის იყო პოპულარული, ბოლო ხანებში მას ცოტა ადამიანი თუ მისდევს. საქართველოში ქსოვა ქალის საქმედ ითვლებოდა და ხელსაქმითაც, თავისუფალ დროს, ძირითადად ზამთრის თვეებში, იყვნენ დაკავებული. ბოლო ხანებში შეიცვალა ტრადიციულ ურთიერთობათა ხასიათი, უკვე ნაკლებია მოთხოვნილება საოჯახო და ნათესაურ ურთიერთობაში ხელნაკეთი ნივთების ჩუქებისა, ნაქსოვი ნივთები საკმაოდ იაფად შეიძლება შეიძინონ, ხოლო ქსოვისაგან მიღებული შემოსავალი არც თუ ისე დიდია. ამასთანავე, თანდათანობით იზრდება ქალების მუშაობის ხვედრითი წილი ბიზნესში, განათლების სფეროში და ა.შ. ამიტომ მათ შედარებით ნაკლები დრო და სურვილი რჩებათ ქსოვისა და დაშიბვისათვის.

ზემომოტანილი ფრაგმენტული მასალაც კი გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას ქართულ სოფელში შექმნილი ვითარებაზე. იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის რაციონში ცხოველური ცხიმების და. მათ შორის რძის პროდუქტების მოხმარება არ მცირდება, აშკარად ჩანს ნატურალური ერბოს რაოდენობისა და ამ საქმიანობით დაკავებული ადამიანები რიცხვის კლება. მეცხვარეობის დაკნინებამ ქართველ მთიელთა ყოფაში, ნაკლებად ხელმისაწვდომი გახადა მატყლი და შესაბამისად გართულდა შალის ნართის წარმოება და შოვნა. ბუნებრივ საღებავები ბევრად უფრო იაფმა და ადვილად ხელმისაწვდომმა არაორგანულმა საღებავებმა ჩაანაცვლა.

Lavrenti Janiashvili, Doctor of Historical Sciences, chief scientific worker at I. Javakhishvili Institute of History and Ethnology of TSU, tel. 593348788

Some Aspects of Domestic Industry among the Pshavians Residing in Lapankuri

(basing on the field-ethnographic material of 2022)

In the fall of 2022, a group of scientists conducted the field-ethnographic research in the villages of Lapankuri and Laliskuri of Lopota and Stori gorges, Telavi municipality. The researchers aimed at identifying the elements of traditional culture, preserved in everyday life, which could be included in the list of intangible cultural monuments. These villages are distinguished for having many inhabitants (the Pshavians, Tushetians), resettled here from East Georgian mountainous regions. The article presents a part of the field material collected in the village of Lapankuri.

Lapankuri is located on the left bank of the Lopota river in Telavi municipality, 36 kilometers from the city of Telavi. The Lopota gorge is surrounded on three sides by the mountains of the Kakheti Caucasus (Big Mukhatsikhe, Small Mukhatsikhe, Sasantle, Nakorogali, Big and Small Andarazani, etc.). The altitude of the gorge ranges between 500-3000 meters above sea level. The villagers associate the name of the village with the name of *Pterocarya* (aka wingnuts, *lapani* in Georgian). This rare plant is found in abundance in Lapankuri area. The village counts about 400-450 families mainly the Iori and Aragvi Pshavians, whose ancestors resettled here more than a century ago.

Even before moving to Lapankuri, the Pshavians knew the Lopota gorge very well, as they wintered their cattle here. In the early 20th century, Khvtiso Chakiashvili and Lega Naruslishvili decided to buy this spot and live permanently here. This required a considerable amount of money, which was difficult for two

families to pay. Therefore, 10-12 households united and bought 40 hectares of land. The land purchase-sale documents were signed in 1906-1907 and the first Pshavian families moved here in 1908. The land where the new homesteads were built was unusable for ploughing. It was quite difficult for the new settlers to make a living only by cattle breeding. It became necessary to change the place so that the Pshavians would increase their share of farming. After the establishment of Soviet power, the population gradually moved westwards, about 5 km from the original location,¹ and occupied the current residential area.

In the traditional life of the highlanders, small handicrafts and home industry played a big role, as the Pshavians mainly prepared necessary things and food in family conditions. This situation more or less persisted until recently, however, the processes undergoing in the modern world and, accordingly, in Georgia, were also reflected in this sphere of life. Visible are the fundamental changes reflected in the oblivion of centuries-old technologies in family activities and the decline of traditional forms of housekeeping. The article discusses a few elements of culture characteristic of the life mode, which held significant place in the life of the last century.

First of all, I would like to touch upon *erbo* (ghee), a high-calorie food product widely spread throughout East Georgia. It is used for cooking, to add fat to milk. It is prepared at any time of the year, but the ghee prepared in autumn is considered the highest quality. It is mostly prepared by women; by men too, during their stay in the mountain pastures. Today, ghee is mainly prepared by

¹ Lapankuri

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98>

middle-aged women, experienced in family work. Although *erbo* is a popular product throughout Georgia, the Pshavians make it in traditional technology (by using less separator). Pshavian *erbo* is delicious, as the folk saying goes: “bread is Kartlian; wine – Kakhetian; cheese – Tushetian; and *erbo* – Pshavian”. Thanks to its high caloric content and the possibility of long-term storage, *erbo* occupied a significant place in the food culture of the Pshavians, and its production probably started at the early development stage of cattle breeding.

The residents of Lapankuri churn milk with *barneli* in *chkhuti* (a round, cylindrical wooden vessel, slightly narrowed towards the head, which has several metal hoops around). *Chkhuti* is made of linden or oak. The best is of oak. *Barneli* is a long wooden tool with a cross-shaped end. *Barneli* should be made from a solid, durable wood. Buckets, sauce pans, sieves are also used when making ghee. Main product of the technological process is ghee itself, which is indispensable in the nutrition of the highlanders, but at all stages of the cycle, different products are also obtained (butter, *dovi*, cottage cheese, *dambalkhacho*), which are foodstuffs. Namely: *dovi* – is churned sour milk, “It is the favourite food for the Pshavians, delicious and cool in the heat, light and innutritious”,² *khachoni* is obtained by heating *dovi*, is squeezed well in a special bag for curd, mashed and salted, and bound as small balls; the balls of cottage cheese are placed on the bast tray (*dzobani*) and smoked; this smoked curd can be used to make *dambalkhacho*; *rdzekhachoni* (cottage cheese mixed with boiled milk), etc.

Dyeing and *dashibva*³

People started using natural dyes at the ancient stage of history. After making clothes from fabric, it became necessary to decorate them with multi-colored ornaments and

² Materials for the history of Georgian domestic industry and small handicrafts., Tbilisi, 1986, vol. 3, part 2, p. 107)

³ *Dashibva* - a technique when a colored ornament is in-woven while knitting

figures and therefore to use natural dyes. Until the 19th century, natural (organic) dyes were mostly used in all regions of historical Georgia, where the population was engaged in making their own clothes.

In the 19th -20th centuries, resulting from the development of light industry, commodity-monetary relations and the widespread use of inorganic dyes, the branches of inner industry, which involved the production and dyeing of clothes, gradually decreased and in fact completely disappeared in the population of the lowland regions. In olden times, knowledge of needlework was necessary for both young and old women, and this tradition was passed down from generation to generation... They mostly knitted with woolen thread, which they made themselves and dyed in desired colors. This branch of craftsmanship has survived to this day in East Georgian mountainous regions, Pshavi and Khevsureti in particular.

S. Makalatia wrote that with woolen yarn Pshavian women knitted socks, rugs, etc., for which they used threads dyed in different colors. The dye was made locally from various plants, grass roots, certain kind of ground or alder-tree bark. The Pshavians and Tushetians continue this activity to this day. Natural dyes are widely used for various handmade fabrics and many colors are obtained by natural means. For instance, green walnut rid, *zhangaro* moss, wingnut tree, etc.” Cocoa color is obtained from wingnut tree. This tree is a floodplain plant, it grows mainly along Lopota floodplains. Women use its leaves, boil them, then remove the mass and put wool into the decoction for dyeing. This is how cocoa color is obtained, if they want light color, they boil it for a relatively short time, if they want dark color, they boil it longer and add more wingnut leaves. Dyeing with moss gives a transition color, neither yellow nor red – more rust-color. The color of the clothes dyed this way does not fade.” *Zhangaro* was brought by men from the mountains, its moss hangs on tree branches in the forest; to obtain light-yellow color, wool was also dyed with hazelnut leaves. To which they sometimes added onion skin. Both dry and raw hazelnut

leaves are used. Red color was obtained from Caucasian rhododendron. Caucasian rhododendron gave almost the same color as Rubia; to obtain brown color, they collected green walnut rid and walnut bark. By using them, it was possible to obtain brown color transitioning to black; soot was also used to obtain black color; rusty iron gave “a strange color, neither yellow, nor rusty, more of snuff tobacco color; in the past, ash was also used for dyeing; green color was obtained from the roots of male fern. Nowadays, a special aluminum pan is used for dyeing, which cannot be used for any other purpose.

The same method of dyeing was applied everywhere in East Georgian mountains. Mostly women were engaged in this process. In autumn, when sheep were sheared, they dyed wool, and in winter they spent more time at home, mostly knitting. Sheep are also sheared in spring, but there is less time for wool processing. In highlander’s family all women knitted. Common practice was “Mushani – women would get together, weave and card wool together until late; this was followed by dancing, and having fun.”

According to the narrator “Wool was washed, stretched, carded, spun and then dyed”. After spinning the thread needed to be twisted. They had a special spinning wheel, depending on the thickness of the thread needed.”

The Pshavians attached great importance to *dashibva* – in-weaving an ornament while knitting. “The background should basically be dark, black or brown. The ornament should match the background color. Brown needs color matching more than black; the ornament should ‘scream’, it should be clearly visible.....

The choice of colors and fabric depends on the taste of the weaver, however, there is a certain tradition and they repeat the combination of colors and ornaments used by the ancestors. Besides, new elements are also introduced. Color, pattern and dimensions can be changed at the weaver’s discretion. Pshavian women mostly weave flowers. The technique of *dashibva* was used when knitting men’s, women’s

and children's socks, home shoes, leggings, gloves and also rugs. Colorful figures were in-woven while knitting, via winding the thread above the knitting needle.

Lapankuri residents say that, in the knitted the Pshavians mainly weaved flowers, while geometric figures are more Khevsuretian. Sock knitting starts from toes. Knitting season is more winter, women at this time are less busy and can knit. The Pshavians usually wore modest, dark-colored clothes, therefore used the in-weaving technique to decorate them. In-weaving is a decor, the rich had it more, the poor had less. Colored thread is in-woven so as not to break the order. According to Pshavian narrators, the in-weaving technique has survived mainly among the Pshavians. Others embroider either on top or inside the fabric. For instance, the Tushetians embroider inside, the thread should be underneath. Whereas the Khevsuretians darn. Their cross ornaments are not visible from below.

As it has been said, knowledge of needlework was necessary for women, when a girl got married, she knew in advance who she would meet in her new family and had to bring socks she had knitted for everyone. The dowry also included the things knitted by the bride (e.g. a rug).

Although needlework has always been more or less popular in Georgian society, few people practice it lately. In Georgia, knitting was considered a woman's job, they also did needlework in their free time, mainly in winter months. Recently, the nature of traditional relations has changed, handmade gifts are less in demand in family and kinship ties, knitted items can be purchased quite cheaply; the income from knitting is not very large. Besides, the share of women's work in business, education, etc., is gradually increasing. Therefore, they have relatively less time and desire for knitting and weaving.

Even the above fragmentary material gives a certain idea of the situation in Georgian village. Even though the consumption of animal fats and dairy products in the diet of the population does not decrease, the amount of natural ghee and the number of

people involved in this activity clearly decreases. The decline of sheep farming in the life of the Georgian highlanders made wool less available and, accordingly, it became difficult to produce and obtain woolen yarn. Natural dyes have been replaced by much cheaper and easily available inorganic dyes.



1. ერბოს დამზადება ჩხუტში



2. ჩხუტი



3. ბარნელი და ჩხუტი



4. ერბოს განცალკევება დოვისგან



5. ქსოვა და დაშობვა



6. ბუნებრივი საღებავებით შეღებილი ნივთები ლაფანყურიდან